ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციები კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის და სტრუქტურული მოწყობის შესახებ

არ არსებობს რაიმე ტიპის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოს გახდიდა კონკურენციის უწყების კოლეგიურ მოწყობას, თუმცა ამ მოდელის ეფექტურობისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მსოფლიოს კონკურენციის უწყებათა უმეტესი ნაწილი სწორედ კოლეგიური მოწყობისაა.

ევროკავშირის 2017 წლის 22 მარტის დირექტივის მიხედვით (DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL to empower the competition authorities of the Member States to be more effective enforcers and to ensure the proper functioning of the internal market), ეროვნული კონკურენციის სააგენტოების (NCAs) დამოუკიდებლობა უნდა გაძლიერდეს იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია.

სწორედ დამოუკიდებლობის ასპექტში განიხილავენ კონკურენციის სააგენტოში მიმდინარე **ევროკავშირის პროექტის ექსპერტები** სააგენტოს სტრუქტურული მოწყობის საკითხს და შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, <u>გვთავაზობენ კონკურენციის სააგენტოს სათავეში 5 კაციანი, საქართველოს პარლამენტის მიერ (პრემიერ-მინისტრის წარდგინებით) 5 წლის ვადით არჩეული საბჭოს შექმნას.</u>

ხსენებული პროექტის ფარგლებში, 2017 წლის ზაფხულში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა **OECD-ის კონკურენციის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ფრედერიკ ჯენი,** რომელმაც, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრების შემდეგ რეკომენდაციები შეიმუშავა, სადაც აღნიშნულია: *<u>„საქართველოს კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის საკითხს მეტად ამწვავებს ორგანოს სტრუქტურული მოწყობის წესი.</u> სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნა-გათავისუფლება დამოკიდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნებაზე, რაც, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სააგენტოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობას რაიმე პოლიტიკური ზეგავლენისაგან. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად შესაძლოა მივიჩნიოთ <u>კონკურენციის კანონმდებლობის რეფორმა, სააგენტოს სტრუქტურული მოწყობის შეცვლა და დამსგავსება ისეთ კოლეგიალურ მოწყობაზე, როგორსაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს.</u> ამ მოდელის ძირითადი უპირატესობა, გამოიხატება გადაწყვეტილების კოლეგიურად მიღებაში. ზემოქმედების მოხდენის მიზნით ცალკე მდგომი თავჯდომარე თავისთავად წარმოადგენს მარტივ სამიზნეს ლობისტებისათვის და მეორე, კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილება რომელიმე პირის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული. ამდენად, <u>ასეთი სტრუქტურული მოწყობა, სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხს და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიუკერძოებლობას მნიშვნელოვნად აამაღლებს.“</u>*

ქვეყნები, სადაც კონკურენციის უწყებებს აქვთ კოლეგიური მოწყობა

(საბჭო/ბორდი/კოლეგია)

1. ლიტვა
2. ლატვია
3. ხორვატია
4. სომხეთი
5. თურქეთი
6. ბულგარეთი
7. რუმინეთი
8. სერბეთი
9. უნგრეთი
10. ბელგია
11. საბერძნეთი
12. საფრანგეთი
13. გერმანია
14. იტალია
15. შვედეთი
16. შვეიცარია
17. სლოვენია
18. ჰოლანდია
19. პორტუგალია
20. მაკედონია
21. სინგაპური
22. კანადა
23. კორეა
24. მექსიკა
25. იაპონია
26. ინდოეთი
27. კვიპროსი
28. ბრაზილია
29. ავსტრალია
30. ახალი ზელანდია
31. გაერთიანებული სამეფო
32. ამერიკის შეერთებული შტატები